ანა კლდიაშვილი
ნინო ღაღანიძე
თამარ ჯაყელი

ხელოვნება IX



ანა კლდიაშვილი
ნინო ლაღანიძე
თამარ ჯაყელი

ხელოვნება

IX კლასი

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი

ხელოვნება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

IX კლასი

მოსწავლის წიგნი

რედაქტორი **ნანა კუპრაშვილი**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **ირმა ლიპარტელიანი**

© გამომცემლობა „კლიო“ 2012
© ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე, თ. ჯაყელი 2012

ყველა უფლება დაცულია

გრიფის მინიჭების წელი — 2012
ISBN 978-9941-441-00-4

Ana Kldiashvili, Nino Gaganidze, Tamar Jakeli
ART
9th GRADE TEXTBOOK

გამომცემლობა „კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181, თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

დაბეჭდილია შპს „მვპ“-ში, თბილისი, კოსტავას ქ. №68, ტელ.: 240 94 47

შინაარსი

1. რას ეხება ეს წიგნი*7 4

1. ძველი სამყაროს ხელოვნება 5

2. როგორ შეისწავლიან სიძველეებს*8 6

3. უძველესი საცხოვრებელი საქართველოში. 8

4. წრიული ფორმის საცხოვრებელი 10

5. უძველესი ქალაქები*9 12

6. დიდი ყორღანების ეპოქა*10 14

7. *რა ვიცით ქართული ხელოვნების შესახებ 16

8. *მე რომ არქეოლოგი ვიყო 17

9. *რეკონსტრუქცია 18

10. *ორნამენტი 19

11. შემაჯამებელი გაკვეთილი 20

2. ანტიკური სამყაროს ხელოვნება .. 21

12. ძველი საბერძნეთის ხელოვნება*18 22

13. კულტურული ურთიერთობები*19 24

14. კოლხური საცხოვრებელი, სამარხი და სამლოცველო*20 26

15. ოქრომრავალი კოლხეთი*21 28

16. იბერიის ხელოვნება*22 30

17. ძველი რომის ხელოვნება*23 32

18. *ვაცოცხლებთ ნივთს 34

19. *სტიმფალის ტბის ფრინველები 35

20. *უძველესი ქართული იარაღი 36

21. *რაზე მოგვითხრობენ მონეტები 37

22. *ძველი ქართველური ტომები 38

23. *რომი და რომაელები 39

24. შემაჯამებელი გაკვეთილი 40

3. შუა საუკუნეების ხელოვნება 41

25. კატაკომბების ხელოვნება 42

26. ბიზანტიური არქიტექტურა 44

27. შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა*34 46

28. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის არქიტექტურა*35 48

29. ხელოვნებათა სინთეზი 50

30. როგორ ამკობდნენ ქრისტიანულ ტაძარს. 52

31. როგორ ასურათებდნენ სახარებას 54

32. ქართული სავანეები საზღვარგარეთ 56

33. აღმოსავლური ხელოვნება*36 58

34. *ყველაფერი ძეგლის შესახებ 60

35. *მოგზაურობა ძველ სამყაროში 61

36. *აღმოსავლური ზღაპრის ილუსტრაცია 62

37. შემაჯამებელი გაკვეთილი 63

4. რენესანსის და ბაროკოს ხელოვნება 65

38. აღორძინების ხანა 66

39. მაღალი რენესანსის ხელოვნება*43 68

40. უნივერსალური ადამიანი 70

41. ისტორიული ეპოქა და ნამუშევარი ... 72

42. ბაროკო*44 74

43. *ისტორიული ქალაქის არქიტექტურული პეიზაჟი 76

44. *პლაკატი 77

45. შემაჯამებელი გაკვეთილი 78

5. ახალი დროის ხელოვნება 79

46. შთაბეჭდილების ხელოვნება*52 80

47. გეომეტრიული ფორმები ხელოვნებაში — კუბიზმი 82

48. მძაფრი ემოციები ხელოვნებაში — ექსპრესიონიზმი 84

49. რეალობის მიღმა — აბსტრაქციონიზმი*53. 86

50. აბსურდის ხელოვნება — სიურეალიზმი*54 88

51. თანამედროვე ქანდაკება*55 90

52. *ფერი განწყობილების შესაქმნელად .. 92

53. *აბსტრაქცია 93

54. * ხელოვნება და თამაში 94

55. *ჯადოსნური ფრინველი 95

56. შემაჯამებელი გაკვეთილი 96

57. ხალხური ხელოვნება*64 98

58. XIX საუკუნის თბილისი*65 100

59. ქართველი მხატვრები პარიზში*66 102

60. თეატრის მხატვრობა 104

61. თანამედროვე ქართული ქანდაკება .. 106

62. ხელოვნება საბჭოთა პერიოდში*67 108

63. ოთხმოციანელები ქართულ ხელოვნებაში*68 110

64. *თექა 112

65. *ყველაფერი არქიტექტურული ძეგლის შესახებ 113

66. *კოლაჟი 114

67. *ანაბეჭდი — მხატვრული ექსპერიმენტი.. 115

68. *სურათი ისტორიულ თემაზე 116

69. შემაჯამებელი გაკვეთილი 117

დამატებითი ინფორმაცია 118

I. პროექტი — საქართველოს სხვადასხვა კუთხის კულტურა 134

II. პროექტი — კარნავალი 135

III. პროექტი — სახლ-მუზეუმი 136

IV. პროექტი — კომპიუტერული ტექნოლოგიები 137

ძველი სამყაროს ხელოვნება

1



2 როგორ შეისწავლიან სიძველეებს*8

1. ადამიანებს უძველესი დროიდანვე აინტერესებდათ, თუ სად და როგორ ცხოვრობდნენ მათი წინაპრები, როგორი წესჩვეულებები და ტრადიციები ჰქონდათ მათ, რას ქმნიდნენ და როგორ გამოიყურებოდნენ ისინი. მეხსიერება და ზეპირი გადმოცემა მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში ინახავს ამ ინფორმაციას, შემდეგ კი ის დავიწყებას მიეცემა. დროთა განმავლობაში დიდი და პატარა ქალაქი თუ სოფელი სახეს იცვლის, ზოგი ცარიელდება და ნადგურდება; გარკვეული პერიოდის შემდეგ იქ სხვა ხალხი სახლდება და ახალ ცხოვრებას იწყებს. ასე ენაცვლება ერთმანეთს სხვადასხვა ცივილიზაცია, სხვადასხვა კულტურა და დედამიწაზე თავისი არსებობის უთვალავ საინტერესო ნიშანს ტოვებს. ეს კვალი ზოგჯერ ყველასთვის ხილულია, ზოგჯერ კი — უხილავი, დრო-ჟამისაგან მიწის სიღრმეში ჩამარხული, თუმცა კი, ძალზე საინტერესო და მეტყველი ინფორმაციის შემცველი.

თრიალეთის თასი. ძვ.წ. II ათასწლეული

მეცნიერებას, რომელიც წარსულის მატერიალური კულტურის ძეგლებს პოულობს და სწავლობს არქეოლოგია ეწოდება. უძველესი დროიდანვე დასტურდება დიდი ინტერესი საკუთარი ისტორიისადმი. სიძველის მოყვარული მეფეები თუ დიდგვაროვნები ძველ ნაქალაქარებს ათხრევინებდნენ და იქ ნაპოვნ ნივთებს ერთგვარ მუზეუმებში უყრიდნენ თავს. არცთუ იშვიათად სამარხებს უბრალო მძარცველები თხრიდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ ძვირფასი ნაკეთობანი და შემდეგ სარფიანად გაეყიდათ ისინი.

?

1. გსმენიათ თუ არა რაიმე არქეოლოგიის შესახებ?
2. თქვენი აზრით, როგორ მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები?

დროთა განმავლობაში სიძველის სიყვარული ნამდვილ მეცნიერებად — არქეოლოგიად გადაიქცა, რომელსაც კვლევისა თუ ძიების უამრავი საკუთარი მეთოდი გააჩნია: უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული წყაროების გაცნობა, შემდეგ სამუშაოების დაგეგმვა და, რასაკვირველია, ისე გათხრა, რომ არ დაიკარგოს წარსულის თუნდაც უმნიშვნელო კვალი.

არქეოლოგი არტურ ევანსი

2. არქეოლოგიური გათხრები მოგვითხრობს სხვადასხვა დროს ამ ადგილას მცხოვრებ ადამიანებზე. მათი კვალი მიწაში შრეებად არის დაცული — ყველაზე ძველი ყველაზე ქვედა შრეა, მას ზემოდან ყოველი მომდევნო ხანის ფენა ედება. ბუნებრივია, რაც უფრო ძველია ესა თუ ის ნივთი, მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს ის, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ უძველესი ძეგლების კვლევისას არქეოლოგიური გათხრების დროს არ დაზიანდეს, ან სულაც, განადგურდეს ზედა ფენები, რომლებიც შედარებით „ახალგაზრდა“ კულტურათა

კვალს შეიცავს. ამიტომ, არქეოლოგს ხშირად, წერაქვისა და დიდი ნიჩბის ნაცვლად, ხელში პატარა ფუნჯი უჭირავს, რომლითაც ნაპოვნ ნივთს ფრთხილად აცლის მიწას, ხოლო განათხარ მიწას ცრის კიდეც, რომ უმცირესი ფრაგმენტებიც კი არ დაიკარგოს. აუცილებელია, აგრეთვე, უკვე გათხრილი ობიექტის ზუსტად დაფიქსირება, აღწერა და ახლადნაპოვნი ნივთების შედარება უკვე კარგად ცნობილ ძეგლებთან. ეს საშუალებას აძლევს არქეოლოგებს მეტ-ნაკლები სიზუსტით დაათარიღონ ძეგლი. ნაპოვნი ნივთები იმის გარკვევის საშუალებას იძლევა, როგორ არის დამზადებული ან ვის ეკუთვნოდა ისინი. ასე ღრმავდება და ივსება თანდათან ჩვენი ცოდნა წარსულის შესახებ.

3. არქეოლოგის პროფესია მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვს მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა ისტორია, ხელოვნების ისტორია, გეოლოგია, ფიზიკა, ქიმია და სხვ.

სხვადასხვა ნიადაგი სხვადასხვაგვარად ინახავს ნივთებს, მაგრამ უმეტესწილად ნაპოვნი ნივთები დაზიანებულია — კერამიკული და მინის ჭურჭელი დამსხვრეულია, ლითონის საგნები დაჟანგული. მათი აღდგენა და გამაგრება უკვე რესტავრატორის საქმეა, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს არქეოლოგებთან ნებისმიერი სახის გათხრების დროს.

4. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უამრავი არქეოლოგიური აღმოჩენაა გაკეთებული, გათხრილია უძველესი ადამიანის საცხოვრებელი, ნაქალაქარი, ნასოფლარი, სამლოცველო თუ სამარხი. ისეთი მდიდარი წარსულის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა ნებისმიერი სახის მიწის სამუშაოების შესრულებისას არის მოსალოდნელი. ამიტომ სახლის მშენებლობის, გზის გაყვანის თუ უბრალოდ მიწაზე მუშაობისას ნაპოვნი ნაგებობების კვალი, ძველი ნივთები და მათი ფრაგმენტები სპეციალისტებმა გულმოდგინედ უნდა შეისწავლონ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ ტერიტორიაზე მუშაობის გაგრძელება.

ჩინელი იმპერატორის სამარხის მცველი თიხის არმია. ძვ. წ. III ს.

დამატებითი მასალა იხ. გვ. 120

3. გაიხსენეთ, რა იცით რესტავრატორის პროფესიის შესახებ.

4. გაიხსენეთ, რა იცით საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ?

დავალება

მოიძიეთ მასალა მსოფლიოს რომელიმე უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ და წარმოადგინეთ მცირე ესეის სახით (ინფორმაციის მოპოვებაში დაგეხმარებათ ტელეკომპანია BBC-ის სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, რომლებიც ხშირად გადმოიცემა სხვადასხვა სატელევიზიო არხით. ასევე, შეგიძლიათ, ინფორმაცია მოიძიოთ ვებ-გვერდზე www.usbornequicklinks.com და აკრიფეთ სიტყვა archaelogy).

3 უძველესი საცხოვრებელი საქართველოში

ხრამის დიდი გორა. დასახლების საერთო ხედი. ძვ.წ. VI-V ათასწლეულები

1. საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის საცხოვრებლის შედარებით განვითარებული ფორმა ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით თარიღდება. ესაა ქვემო ქართლში, მდინარე ხრამის ხეობაში ხელოვნური ბორცვების სახით შემორჩენილი ნასოფლარები, ე.წ. გორები — შულავერი, ხრამი, არუხლო, და სხვ.

აქ შემორჩენილია ალიზით ნაგები წრიული ფორმის სახლები. ისინი სხვადასხვა ზომისაა (ზოგიერთის ფართობი 4 კვ.მ-ს ძლივს აღწევს, ზოგისა კი 16 კვ. მ-ია). მათი ყველაზე საინტერესო დეტალია გადახურვა; შენობის კედელი ძირიდან კონუსისებურ ფორმას ქმნის და გუმბათივით ხურავს შენობას (ამჟამად არც ერთი მათგანის „გუმბათი“ არ არის შემორჩენილი). მათი სიმაღლე, დაახლოებით, 2,5 მ-ს აღწევდა; კონუსის წვერში კვამლის გასასვლელი ხვრელი იყო დატანებული, საიდანაც, ამავე დროს, შუქი შემოდიოდა ინტერიერში. საცხოვრებლის აუცილებელი ატრიბუტი იყო მის ცენტრში მოწყობილი მიწაში თიხით ჩაძერწილი, უქრობი ცეცხლისთვის განკუთვნილი კერია.

2. ძვ. წ-ის V ათასწლეულითაა დათარიღებული იმირის გორის სახლები. აქ წრიული გეგმარების მქონე კონუსისებურად გადახურულ შენობას ცალ მხარეს მიდგმული აქვს მასთან კარით დაკავშირებული მცირე წინკარი დამრეცი გადახურვით. გადახურვა უშუალოდ ეყრდნობა, ებჯინება მთავარი ოთახის დამრეც კედელს, რომელსაც ოთახის შიგა მხარეს ორი სამკუთხა ფორმის საყრდენი კედელი ამაგრებს.

3. იმირის გორაზე აღმოჩნდა კიდევ ერთი სახლი, რომელსაც კონუსისებური გადახურვისაგან განსხვავებით, ბრტყელი გადახურვა ჰქონდა. სახლი ორი ერთმანეთზე გადაბმული სათავსისაგან შედგება. ერთი მომცროა, მეორე კი უფრო დიდი ზომისაა. სწორედ მოზრდილ სათავსშია მოწყობილი კერია. მის წინ ხის ბოძი დგას; კედლებსა და ბოძს შორის კოჭებია გადებული და ზედ დატკეპნილია თიხის ბრტყელი სახურავი. კერიის თავზე სახურავში გაჭრილია ღიობი.

?

1. როგორ ფიქრობთ, მოსახერხებელი იქნებოდა თუ არა ასეთ სახლში ცხოვრება? სად იძინებდნენ ასეთ სახლში ადამიანები?

2. როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდათ მშენებლებს სამკუთხა ფორმის კედლების გამოყენება?

?



იმირის გორა. წრიული საცხოვრებელი. ძვ.წ. V ათასწლეული

?

3. აღწერეთ, როგორ არის გადებული კოჭები კერიის წინ მდგარ ბოძზე?

4. თქვენი აზრით, რა ფუნქციას ასრულებდა კერიის წინ აღმართული ბოძი?



იმირის გორა. შენობა ბრტყელი გადახურვით. ძვ.წ. V ათასწლეული



ქვაცხელები.
საცხოვრებელი სახლი.
ძვ.წ. III ათასწლეული

5. რომელი ელემენტებია ქვაცხელების სახლში ისეთი, რომლითაც ის ხრამისა და იმირის გორის სახლებს გავს? რით განსხვავდება მათგან?

6. შეადარეთ იმირის გორისა და ქვაცხელების ბრტყელსახურავიანი სახლები. დააფიქსირეთ მსგავსება და განსხვავება.

4. სოფელ ურბნისის მახლობლად ქვაცხელებში აღმოჩენილია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულით დათარიღებული სახლი, რომელიც საცხოვრებლის უფრო განვითარებულ სახეს წარმოადგენს: კედლით გამოყოფილი წინკარით, მოზრდილი ოთახითა და ბრტყელი გადახურვით. გეგმით იგი სწორკუთხაა, მაგრამ თავისი მომრგვალებული კუთხეებით კავშირს ამჟღავნებს წინარე ხანის მრგვალ სახლებთან. აქაც ოთახის ცენტრში კერიაა მოწყობილი ჭერში გაჭრილი ღიობითურთ. კერიის წინ კი სწორკუთხა მოყვანილობის, კარგად გათლილი ხის ბოძია აღმართული.



ქართული დარბაზის ინტერიერი

5. ქართული საცხოვრებლის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა ე.წ. დარბაზი, რომელშიც XX ს-ის დასაწყისშიც კი ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი.

დარბაზი ყველა იმ ელემენტს შეიცავს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ უძველეს სახლებში შეგვხვდა. დიდი და ხალვათი ოთახის ცენტრში მოწყობილი კერიის წინ აღმართულია დედაბოძი. სიახლე გადახურვაში გვხვდება. აქაც კერიის თავზე ღიობი გვაქვს, მაგრამ ბრტყელი გადახურვის ნაცვლად აქ ხის ძელებისაგან მოწყობილია ე.წ. „*გვირგვინი*“.

7. როგორ ფიქრობთ, რატომ ქვია ამ ბოძს დედაბოძი?

8. რას მოგაგონებთ ამგვარი გადახურვა?



ქართული დარბაზის გვირგვინი

კერია და დედაბოძი

ქართული საცხოვრებლის ცენტრში განლაგებული კერია და დედაბოძი ოჯახის წევრების მიერ რიტუალების აღსრულების წმიდათაწმინდა ადგილს წარმოადგენდა.

კერია იატაკში ამოღებული არაღრმა ორმოა. მას ისე ლესავდნენ თიხით, რომ კერიის პირის გარშემო ამობურცული კიდე კეთდებოდა. ეს კიდე ხშირად წითლად იღებებოდა. ორმო შიგ გაჩაღებული ცეცხლით, მზის დისკოს გამოხატულება იყო, ხოლო ამობურცული კიდე — მზის შარავანდისა. კერია ფაქტიურად საკურთხეველი იყო, რომელშიც მარადიული ცეცხლი ინახებოდა. კერიის გარშემო ოჯახი საკულტო რიტუალებს ატარებდა, კერიასთან ისინი ოჯახის წევრების გარდაცვალებასა თუ ქორწინებასთან დაკავშირებულ წესებს აღასრულებდნენ; აქვე რიგდებოდნენ მოსისხლეებიც.

კერიასთან მდებარე დედაბოძი სიცოცხლის ხეს განასახიერებდა. მის წინ სარიტუალო პურობა იმართებოდა. აქ ოჯახის უფროსი ხის ტაბლას დგამდა, რომელზეც სუფრა იშლებოდა. სტუმარ-მასპინძელი დაილოცებოდა და უზენაეს ღვთაებას თუ ფუძის ანგელოზს ოჯახს ავედრებდა.

დამატებითი მასალა იხ. გვ. 121